



წერილი შვილი-შვილისა: ბებიავ ჩემო, შორიდან ხელის გამოწვდით მოგიკითხავ...  
ორჯელ დავიჭერ, მაგრამ ღვთის მადლით კარგად ვარ...

### სულისარი

შორეულო, აწმყოში ხარ! არც მომავალს დამემალე;  
შენი სრულქმნა დაინახა უნდომ გვიან და მე მალე!  
დღეს მეც შენთან აღმიტაცებ, შენ წინ ზღვენი მივალაგე;  
სხვასაც მინდა დავუძახხო, შენს ჭრელ ბალში მივალ, აგე!  
ერთად ვხარობთ, ყრუდ ამბობენ: „მისიც არის, ჩვენიცაო!  
იგი ერთი გვეგულება სამოთხე და ჩვენი ცაო!“  
ამ დროს გიმზერ ზეიმს გამჩნევ, შემცოდს ჰხედება სულ ისარი.  
ყველგან ვმღერი დაუცხრომლად: წმინდა ლტოლვა სულ ის არი!  
ჩვენ მისი და იგი ჩვენი სიდიადე სულის არი!  
ქალი ტურფა, თვალსხივანა, თმაგაშლილი სულისარი!

სანდრო შანშიაშვილი.

### კახეთს

სატრფო სამშობლოვ! როს შორით ვუმზერ  
შენს ნისლ მოხვეულ კეკლუტთა მთათა,  
კმუნვით ვიმოსვი და ნალვლით ვუმღერ  
მკენესარე თარის მკენესარე ხმათა.

...ეჰ, ვინ ისმინოს ჩემი სურვილი,  
ან ვინ გადასცეს სხვა მომავალსა;  
შავს აღმოსავლეთს, შავად ბურვილი,  
ვუმზერ და ველი ნეტარ მზის აღსა!

გ. უიშვილი.

### ფეხილითა ველი

(მე-20 საუკუნის ლეგენდა)

ფერმკრთალმა მთვარემ ქვეყანა  
გაანათა და ველი მალად ბუჩქების  
ჩრდილებით მოიფინა. ნიაგმა გამოი-  
ღვიძა, ამოისუნთქა და გაინავარდა,  
ბუჩქები შეაჩოჩქოლა და მერე წყა-  
როსთან მიიბრინა.  
წყარო პატარა ბეჭობზე გადმოჩხ-  
რიალეზდა და მთვარის შუქზე ბრჭყვი-  
ალი გაჰქონდა.  
— მოხვედი, გიყო? — შეჰკასკასა წყა-  
რომ ნიაგსა. — გამეცა, ემანდ მარგალი-  
ტები არ მიმიფანტო!  
— ისეთი ლამაზი ხარ, ისეთი ლა-  
მაზი, რომ არ შემეძლიან, არ გაყო-  
ცო! — წასჩურჩულა ნიაგმა და გადაე-  
ხვია.  
— ნუ მილიტინებ, შე დაუდეგარო,  
ენა! ნუ მილიტინებ! — უთხრა კუჭკუ-  
ჭით წყარომ. — სული ველარ მომიბრუ-  
ნებია ამდენი სიცილისაგან!.. ვაიმე!..  
ჩემი მარგალიტები!.. დამიფანტა!.. და  
მიფანტა ამ გადარეულმა!

წყარო ჯავრობდა, ნიაგი კი ყურს  
არ უგდებდა, თავისას არ იშლიდა,  
ეკონებოდა და გაშმაგებული ჰკოც-  
ნიდა.  
— ჩემი ბრალი არ არის, არა! —  
განსმა გულსაკლავი ხმა და მახლობ-  
ლად ბუჩქის ჩრდილს ადამიანის ჩრდი-  
ლი გამოეყო.  
ნიაგმა თავის ალერსი შესწყვიტა.  
— შეშლილია, — უთხრა წყარომ. —  
ეს ველი სავესეა მაგისტანებით. ბუჩ-  
ქებში იმალებიან. მთვარის შუქზე გა-  
მოდიან. უნდა ნახო, როგორ იგრიბე-  
ბიან, ცმუკავენ!.. სიცილით მოკვდები.  
— რა გინდა ჩემგან ბავშვო? — დაი-  
ყვირა შეშლილმა და სივრცეს მია-  
შტერდა. — მე ხომ არ მინდოდა შენი  
მოკვლა!  
ხელებზე დაიხედა.  
— სისხლი!.. სისხლი!.. რომ არა  
მშორდებია!.. რომ არა მცილდებია!..  
ნიაგი მიუახლოვდა და თვალეში ჩაა-  
ცქერდა; ორ ღრმა ფოსოდან ორი ჭი-  
ქის კაკალი გამოიყურებოდა.  
— რას მიყურებ? — შეჰპრიალა სა-  
ზარალად შეშლილმა და წყაროსაკენ  
გადახტა.

ფეხს ნიაგისაგან მოზნეული წყაროს  
წინწკლები მოხვდა, აცახცახდა და  
უკანვე გამოიქცა.  
— არ დავხოცავ! — განსმა ახლა  
სხვა ბუჩქიდან. — მეცა მყავს ცოლ-  
შვილი!.. განა თქვენ კი არა გყავთ?..  
შემიბრალებთ!.. რად დახოცეთ?! თქვენ  
ადამიანის გული არა გქონიათ! თქვენ  
ქვა გდებიათ გულის მაგივრად!  
ნიაგმა მიიბრინა და შიშველა ტანზე  
ბალანი აუთამაშა.  
შეშლილი შეკრთა.  
— ნუ შემეხე! სისხლიანი ხელები  
გაქვს! მე მაგ ცოდოს არ ვიკისრებ! —  
იკივლა განწირულებით და გაიქცა.  
— მოდიო!.. მიშველეთ!.. მახრობს!  
— წამოიძახა მესამე ბუჩქიდან მესამე  
შეშლილმა და მთვარით გასინათებულს  
აღვიღებ გამოიჭრა.  
ხელები ყელში ეტაცნა და ვილასიც  
უჩინარ ხელებს იშორებდა.  
— აბა, ძმებო, მომყევით! — იჭექა  
მეოთხე ბუჩქთან მძლავრმა ხმამ და  
ჩრდილიდან კეტით შეიარაღებული  
ვაჟკაცი გამოხტა.  
მეოთხეს მეხუთე მოჰყვა, მეხუთეს

მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე... და  
მთელი ველი შეშლილებით გაივსო.  
თვითელს სახეზე შიშის ზარი გა-  
მოჰხატოდა; ზოგს ტანი მთლად გაჰ-  
შიშვლებოდა, ზოგს ტანისამოსის მხო-  
ლოდ ნაფლეთებოდა შერჩენოდა. ჩა-  
მომხმარიყვენენ, კანი ძვალზე მიჰკრო-  
დათ, თვალეები გასდიდებოდათ, აბრი-  
ალებდნენ. ხან ერთმანეთს ეხებოდნენ,  
ებლაუჭებოდნენ, ხან კი ერთმანეთს  
გაურბოდნენ. ზოგი ისევ ბუჩქებში  
იმალებოდა, ზოგი გამალეული ველზე  
დაეჰანებოდა, თავის ჩრდილს დასდევ-  
და, ემუჭრებოდა.  
ცელქი ნიაგი ხან ერთს უხტებოდა,  
ხან მეორეს, ბუჩქებში იჭრებოდა,  
აშრიალეზდა და იქ დამალულებს ერე-  
კებოდა, უკან დასდევდა, შიშის ზარს  
უორკეცებდა, თვითონაც ერთობოდა  
და თავის სატრფოსაც ასიამოვნებდა.  
წყაროც გულიანად ხითხითებდა,  
კისკისებდა.  
ინ — ბანი.  
დილომი. — 1915 წლის ივნისის 29-ს.





# მ ა რ ტ ო

ვინ რასა ჰკითხავს, ვინ რაღას ჰკითხავს  
ჩემს ყოფნას, ეგრე ბნელში გახვეულს;  
თუ მარტო დავრჩი, მარტო თუ დავრჩი,  
მაშინღა გაეხსნი ლექსების რვეულს...

ეხლა მარტო ვარ. ცოტა ხნით მაინც  
ჩემს ფიქრთა დენას აღარვინ არეებს;  
მარტო.— ისე ვხსნი ლექსების რვეულს,  
როგორც ნაქურდალს, როგორც ნაპარევს.  
რაღა?... ჰო, ალბად დიდს ქვეყანაში  
დავეკარგოდი თვალბამულს ბედსა  
და ზეჟვეყნიურ სამეფოს ნაცვლად  
მონობა დამშთა მე, შემოქმედსა!  
ვინ დედაკაცი, ვინ შემოქმედი?  
ვინ დედაკაცი!— იტყვის სოფელი;  
დიღხანს და დიღხანს იხითხითებენ  
მამაკაცი და მეფისტოფელი.

ვინ რასა ჰკითხავს, ვინ რაღას ჰკითხავს  
ჩემს ყოფნას, ეგრე ბნელში გახვეულს,—  
შემოქმედს აღარ დამიძახებენ,  
აღარც გადავხსნი ლექსების რვეულს.

ბაბილინა.

\* \* \*

### (გ. ქუჩიშვილს)

მუშის მარჯვენის ჭირიმე,  
მუშის დაღერილი ოფლისა,  
რომელსაც მართლა აწუხებებს  
დარდი რამ წუთი სოფლისა.

გულჩათხრობილი როდესაც  
დღიურ საჯაფოს ადგება,  
ფიქრობს ალალი ნაშრომით  
ჭირჟყოფთაც გამოადგება.

განა არ არი შრომელი  
თავისთვის დაუღალავი,  
სხვისათვის უბარაქოა,  
როგორც ნიშნობის ალავი.

ვერ დავუძახებ შრომის შვილს  
იმ გაიძვერა მუშასა,  
გული რომ გაღვსილი აქვს  
როგორც ტინსა და შუშასა.

ვინც უნდა იყოს ერთია,  
დაბლა თუ მაღლა მღერალი,  
მიწის მთხრელი თუ ქვის მჭრელი,  
გინდაც უკვდავი მწერალი.

რის მაქნისია მარტოკა  
სიტყვებს ჰფერავდეს, ჰკალავდეს,  
პირიდან მარწყვებს ისროდეს  
და სხვას კი ოფლსა ჰპარავდეს.

ქუხილისავით მედგრობდეს,  
ქვეყნის ჭირ-ვარამს სწვდებოდეს,  
მაგრამ ვით გველი მგესლავი  
მოდმეთა გულში ძვრებოდეს...

იმ მუშის სულის ჭირიმე  
და იმ მშრომელის ოფლისა,  
ვისაც თან ახლავს სიკეთე  
ვით მაღლი წუთი სოფლისა.

ზიო მღვიმელი.

## რაგინდრანათი თავმოკედან

(გერმანულიდან)

ნუ მიხვალ ჩემგან, სატრფიალოვ,  
გამოუმწვიდობლად.

მთელს ღამეს ზეზე ვიყავ და ეხლა  
ჩემს თვალებს ძილი ამძიმებს.

მხოლოდ მეშინიან, ღაგარგავ, თუ  
დავიძინე.

ჩემგან ნუ წახვალ, საყვარელო, გა-  
მოუმწვიდობლად.

ალვზდექ და აღვმართე ხელნი ჩემნი

შენ შეგებობდი. ვკითხავ ჩემს თავს:  
„სიზმრად ხომ არ ვარ მეტიქი?“

ნეტავ შემეძლოს ჩემის გულით ფერ-  
ხნი შეგიკრა და მკერდს ჩამოგვიკიდო!  
ჩემგან ნუ წახვალ, სატრფოვ გამოუ-  
თხოვებლად.

რადგან ადვილად ვერ შევიცან,  
ჩემს თავს ათამაშებ, თვალებს მიბრმა-  
ვებ შენის სიცილის ელვით, შენის  
ცრემლების დასაფარავად! ვიცი, ვიცი  
შენი ეშმაკობა; არაოდეს არ ამბობობ  
იმ სიტყვას, რაც უნდა გეთქვა.

რადგან არ ძალმიძს დაგაფასო,  
ათას ნაირ გზით გვერდს მიხვევ.

რადგან მრავალში არ გრევე, შენ  
იქით მბარეს სდგევარ.

ვიცი, ვიცი შენი მოხერხება; არაო-  
დეს იმ გზით არ მიხვალ, რომლითაც  
უნდა გაგველო.

შენ მეტი სალაპარაკო გაქვს, ვიდ-  
რე სხვას რომელსამეს, ამიტომ ხარ  
დაღუმებულნი.

მონაწილედ ერთსულოვნობით იცი-  
ლებ ჩემს ძღვენს. ვიცი, ვიცი შენი  
ეშმაკობა; არაოდეს მას არ მიიღებ  
ხოლმე, რაც უნდა მიგელო.

ის ჩურჩულდება: „შსაყვარლესო,  
გაახილე შენი თვალებიო“.

მკაცრად მოვიცილე იგი და ხელნი  
დამიჭირა. ვუთხარ: „თავი დამანებე-  
მეთქი!“; მაგრამ არ მიდიოდა.

თვისი სახე ყურთან მოიტანა. შეე-  
ხედე და ვუთხარ: „გცხვენოდეს-მეთ-  
ქი!“; მაგრამ ეს მას არაფრად მიაჩნ-  
და.

თვისის ბაგით ჩემს ღაწვებს შეეხო.  
ვთრთოლავდი და ვეუბნებოდი: „მე-  
ტის მეტს ჰბედავთ-მეთქი!“; მაგრამ  
იგი არ ირცხვნიდა.

მან ჩემს თმას ერთი ყვავილი გაუ-  
კეთა. ვუთხარ: „ეს არაფერს უშველის-  
მეთქი!“; მაგრამ იგი უმოძრაოდ იდგა.

მან ჩემი კონა წაიღო და წავიდა.  
ესტერი და ვეკითხები ჩემს თავს:  
„რატომ უკან აღარ ბრუნდება-მეთქი?“

ს. შ.

# შ ა მ ო ღ ო მ ა

უცხოეთისკენ მიფრინავს წერო...  
დგება წუთები საბედისწერო.

თეთრ-კაბიანმა ვერხვმა ჩასთვლიმა,  
ცრემლად იფრქვევა რთვილი და წვიმა..

აღარ ასვენებს გრივალ მიწებს—  
კარს მიაწყდება, ამოიგმინებს..—

ალბად ჩემი მზეც ასე ქვითინებს!

გ. ლეონიძე.

\* \* \*

შემთხვევით ვნახე ჩემი ლექსები  
სატრფოს რვეულში მოთავსებული;  
გადაკითხული ერთ დროს მრავალჯერ,  
შემდეგ კი სულ მთლად მივიწყებული.

ვნახე და ფიქრად გადაქცეული  
როს ვიგონებდი ცხოვრებას წარსულს,  
სხვები ჩემს ლექსებს მღეროდნენ ტკბილად,  
მე კი ცრემლებით ვნამავდი რვეულს.

ქნარი.

## ო მ ი ს ს უ რ ა თ ი

კვლავ სისხლით მორწყულს არე-  
მიდამოს  
შავი ყორანი თავს დასტრიალებს;  
იქ; ბრძოლის ველზედ უსაფლაო  
მკვდრებს  
მწარედ დასჩხავის, უკორტნის თვა-  
ლებს.

მთლად დაუფარავს სისხლის ნაკა-  
დებს  
ტურფად შემკული, ლამაზი მდელი,  
ისმის მწუხარედ მომავლდავთაგან:  
ველარ გიხილავ, ვკვდები მშობელო!

კვლავ სისხლის დენა, ცრემლების  
ფრქვევა  
კენესა გოდება, სულ ტანჯვა მწველი;  
ცხოვრების ქნარზედ შემწყდარა სიმი,  
დღეს მხოლოდ მეფობს სიკვდილის  
ცელი!

ალ. რომანიშვილი.

## ბ-ნ შაბრის ლოკოჰინაში

(ე. ზოლა)

III

შაბრმა ზღვის პირად დაიჭირა  
მშვენიერი სახლი. რაკილა არავეითარი  
სასტუმრო არ მოიპოვებოდა, იძულე-  
ბული იყო მზარეული გოგო დაეჭირა.  
უცნაური სადილი მზადდებოდა ყო-  
ველ დღე: შავი ნახშირის მსგავსი შე-  
მწვარი და ამალელებელი წვენი გულს  
უხეთქავდა ქ-ნ ესტელს, ასე რომ ხშირად  
ცარიელ პურზე გადაუვლია და კი არ  
უჭამნია. ბ-ნი შაბრი ცხარობდა, აქ  
ლორმუცელობისთვის ხომ არ მოესულ-  
ვარო. არც თვითონ მას ეპიტანავებოდა  
ეს უცნაური საქმელი. მართალია, დი-  
ლიდან სალამომდინ ლოკოჰინებს მი-  
ერთმევედა, მაგრამ რა მირთმევა იყო,  
როდესაც გული ერეოდა. აღზრდილი  
მდიდრულ ოჯახში, პატარა ბაღსა-  
ვით შეჩვეული ტკბილეულობას, თქმა  
არ უნდა ამ უცნობ ცხოველებს ადვი-  
ლად ვერ შეურიგდებოდა. ლორწო  
მოშვეებული ლოკოჰინა უთუთხნიდა  
ტუჩებს, მართლაც, აუტანელ ძალას  
ატანდა თავს, რომ სათითაოდ ჩაეყლა-  
პა. პატარა პილპილს მოაყრიდა და


ექიმის რჩევის თანახმად ერთს მეო-  
რზე აყოლებდა, რა არის შვილი გა-  
მიჩნდესო.

— ჩემო კარგო, შენც უნდა სკა-  
მო, — ეტყოდა ხოლმე ესტელს, როდესაც  
ეს ტუჩაკრული ლოკოჰინას გვერ-  
დით გადასდგავდა. შაბრი მოითხოვ-  
და, რომ ესტელსაც იმდონივე ექამა,  
როგორც მას. ამაზე ხშირად შელაპა-  
რაკებულან კიდევ. ესტელი თავს მა-  
რთულულობდა, ბ-ნ გიროს ჩემზე არა-  
ფერი უთქვიაო. მაგრამ შაბრი უპა-  
სუხებდა, თუ ლოკოჰინა ჩემთვის სა-  
სარგებლოა, (ხადია, შენთვისაც კარ-  
გი იქნება, როგორც მომავალი დედის-  
თვისაო. რას იზავდა, ქმარი არ გაგა-  
ჯავრო, ესტელიც იღებდა ლოკოჰი-  
ნას, ჟრუოლვა მოსული სახეს დაიჭმა-  
ჭნიდა და ზიზლით ქმართან ერთად  
მიერთმევედა ათიოდ ცალს მაინც.

პირიკში საზოგადოდ მეტად მოსა-  
წყენი რამ იყო. აქ სულ სამიოდე  
ოჯახი იყო. სამთავე საბანაოდ მოსუ-  
ლიყვნენ. მეტად ნაკლებ ხმაურობდნენ.  
მხოლოდ შეხვედრისას მიესალმეაოდ-  
ნენ და ამით თავდებოდა მთელი მათი  
ურთიერთშორის დამოკიდებულება.  
უღაბნო ზღვის ნაპირებზე ათასში ერ-  
თხელ ძაღლები თუ წაიჩხუბებდნენ,  
თორემ სხვაფრივ სრული სიწყნარე  
იყო.

ესტელი პარიზის ხმაურობას იყო  
შეჩვეული. უეჭველია, ეხლა ჯავრით  
მოკვდებოდა, რომ ბედზე ჰექტორი  
არ გამოსჩენოდათ. იგი თითქმის ყო-  
ველ დღით მოდიოდა მათს დასა-  
თვალეობლად. ბ-ნ შაბრსაც დიდად  
დაუმეგობრდა. უერთიერთმანეთოდ  
ფეხსაც არ გადასდგამდნენ სასიეროდ.  
ბ-ნმა შაბრმა ნელ-ნელ გაანდო საი-  
ღუმლო თუ რად და რისთვის მოსუ-  
ლან, თანაც ისეთის გადაკვრ-  
გადმოკვრით, რომ ჰექტორი თავისით  
უნდა მიხმედარიყო, რათა მის უბიწო-  
ებას ფერი არ შეჰშლოდა. როდესაც  
მეცნიერებას გადასწვდა რ ახლა ამით  
ასაბუთებდა თავის მოგზაურობის მი-  
ზეხს, ჰექტორმა თვალები დააქციტა,  
სიწითლეს კი გადაავიწყდა, უაზროდ  
შეჰყურებდა მას, თითქოს ჰსურს შე-  
ნიშნოს, რა ბავშვი ყოფილხარ რომ  
ასეთს სისულელეს ყურს უგდებ და  
მისი გჯერაო. მიუხედავად ამისა ჰექ-





ტორმა მეორე დილას მთელი კალათა ლოკოკინა მისთავაზა. შაბრს ძიელ იამა ასეთი თავაზიანობა დაგულითა-ლი მადლობელიც დარჩა. ამიერიდან ჰექტორმა გაახშირა მათთან სტუმრობა. იგი მეტად მარდი ბიჭი იყო, დახელოვნებული მებაღური, მასთან მშვენივრად იცოდა ყოველი კონცხი, ყოველი ნაბიჯი ზღვის პირისა და სახელდახელოდ აუარებელ ლოკოკინას იჭერდა კიდევ. საუცხოვო ლოკოკინებს გადაარჩევდა და საჩქაროდ მოარბენინებდა შაბრის ოჯახში. შაბრსაც უხაროდა, უხაროდა მით უმეტეს, რომ ყმაწვილს მისთვის გროშიცკი არ გაუღებინებია.

ამიერიდან ჰექტორმა კარგი მიზეზი იპოვნა ყოველ წუთს მათთან ყოფილიყო. როდესაც კალათით ხელში მივიდოდა მათთან, წინ ესტელი შემოეყრებოდა. მისალმება ჩვეულებრივი სიტყვებით იწყებოდა.

— ბატონ შაბრისთვის ლოკოკინები მომაქვს. და ორთავენი გაიღიმებოდნენ აციცინათელავებული თვალებით. ბ-ნ შაბრის ლოკოკინები მათ სიამოვნებას ჰგვრიდა, უკეთეს გასართობსაც ვერ იმოგონებდნენ.

ნელ-ნელ ესტელსაც შეუყვარდა პირიაკი. ბანაობის შემდეგ ჰექტორთან ერთად სეირნობდა. შაბრი ყოველთვის უკან რჩებოდა, რაკილა ფეხები დამძიმებული ჰქონდა და მათი ნელი ნაბიჯიც მუდამ ჩქარი ეჩვენებოდა. ჰექტორმა მას ყოველისფერი დაათვალიერებინა, თუ რითი შეეძლო ეამყნა პირიაკს. აჩვენა ძველისძველი ქანდაკებანი, ძველი შენობის ნაშთი. ეს უძველესი ქალაქი ეხლა სოფელსაც აღარ ჰგავდა. ქუჩები ჩიქიანი, უსწორმასწორო და დახავებული კედლებით. მაგრამ ესტელს შეუყვარდა ეს ყრუ და მიგდებული ცხოვრება. აქ ჰექტორთან მარტობა მისთვის ყოველისფერი იყო.

ესტელს ყველაზე ძიელ ართობდა ბატებისა და გოჭების დევნა, რომელნიც თავისუფლად დასეირნობდნენ ქუჩა-ქუჩა. პირველად გოჭებისა ძალზედ ეშინოდა. მათს ჰყვირილს მიუფრთხილდა. ასე ეგონა ეს-ეს არის წამოწვევიან და ფეხებს გამომჟამენ და ამიფხოწილებენო, მაგრამ ჰექტორმა დაამშვიდა, თანაც დაუფიცა, რომ გოჭები ყველაზე უკეთესი ცხოველები არიან ქვეყანაზეო. ეხლა ესტელი მათ ქუც-ქუცზე უკეთეს გასართობს აღარასფერს ჰხედავდა. ბატებიც ერთგვარს სიამოვნებასა ჰგვრიდნენ. ერთს წუმბის გარშემო ორი მხრით მიადგებოდა ხოლმე ბატების გუნდი. გეგონებოდათ, წუმბეს სალამს აძლევნო, ისე მიდიოდნენ კისრების ქნევით. სანახაობა მით უფრო სჭრიდა თვალს, რომ ერთი გუნდი სისინით მეორისაკენ იწევდა, ფრთებს აბარტყუნებდნენ. მამალი ბაჯბაჯა ფეხით ყველაზე ამაყად იყურებოდა. ესტელს უყვარდა მათი დაფრენა, ქოლგით მოჰყვებოდა მათს გამორეკვას. მაგრამ იმას კი აღარა სჯობდა რა, როდესაც ბატებს შუადლისას ახლა გოჭებიც ჩამოგრევიდნენ და ხრუტუნით წაეყრებოდნენ ხოლმე წუმბეში, თითქოს საგანგებოდ მოსულან საბანაოდაო.

პირველ კვირას ესტელმა იფიქრა, მოდი წირვაზე წავალ, გავერთობიო. პარიზში წირვა არასოდეს მოჰგონებია. მაგრამ სოფლად წირვა მისთვის

ერთგვარი დროს გატარება იყო. ჯერ ერთი, რომ აქ შეეძლო ჰექტორი ენახა. ეს მუდამ აქ იყო, დავითნსა კითხულობდა ხოლმე. წიგნებზე დამხობილი ერთხელაც არ ასწევდა თავს. ტუჩებ მთრთოლვარე სერიოზულად აჩვენებდა თავს, თუმცა თვალბში კრიალით ღიმილი გამოუკრთოდა. გამოსვლისას ჰექტორი ხელს მისთავაზებდა ესტელს და სასაფლაოსკენ მიჰყავდა გასასეირნებლად.

ესტელს ბევრად არაფრად მოსწონდა სასაფლაო. ეს ერთგვარს კაეშანს უღვიძებდა. ჯერ იყო და მოსვლის პირველ დღეს, როდესაც ფანჯრიდან საფლავეებს მოჰკრა თვალი, ცივმა ჟრუანტელმა დაურბინა. ეკლესია თითქმის მათს კარის წინვე იყო. ღამ-ღამობით გუმბათზე ამრთულს ჯვარის გარშემო ქარი საცოდავად სწიოდა, თითქოს მახლობელ ტყის ტირილს გულსაკლავ სევდას უერთებდა. მაგრამ მალე შეეჩვია ამ მოსაწყენ სანახაობას. ასე ეგონა, მკვდრები თავის მხრით საფლავეებიდან ღიმილით შეჰყურებენ ზემოდან რომ დამხობიანო. აქ ბავშვებს ყველაზე საუცხოვო ადგილი ეპოვათ გასართობად, დარბოდნენ, დათამაშობდნენ, ხილნარი ფოთლებ ქვეშ ჩრდილსა სტყორცნიდა და საფლავეებს ერთგვარ კარავს ადგავდა თავზე.

ერთ საღამოს ესტელი ჰექტორთან ერთად ხელი-ხელს გაყრილი დასეირნობდა. ბ-ნმა შაბრმა ცოტა არ იყოს იწყინა, რომანტიული აზრები აშლიათო და პროტესტი განუცხადა. ესტელმა ხელი აუშვა ჰექტორს. მალე ბალახში მის ქობას შარი-შური გაჰქონდა. როდესაც ეკლესიის გვერდით ჩრდილ ქვეშ ამოჰყვეს თავი, ესტელმა იგრძნო ჰექტორის ხელი წელს ქვემოდა დაიტიკცა. შიშის ჟრუანტელმა დაურბინა.

— რა გიფი რამა ხარ, — უთხრა ესტელმა, როდესაც ჩრდილიდან გამოვიდნენ, — ასე მეგონა მკვდარი წამოღვა და ხელი მტაცა მეთქი.

ჰექტორმა სიცილი დაიწყო.

— შეჰქველია, ეკალი წამოგედოთ და თქვენ მკვდარი გეგონათ — არა? საფლავეების წინ შესდგნენ, დააქერდნენ ერთს, ორს, თითქოს თავის მხრით მკვდრებმაც საფლავიდან მიიპყრეს მათი ყურადღებო. შემდეგ უსიტყვოდ გაშორდნენ ამ ადგილს, თუმცა რატომღაც ორივეს შიშის ჟრუანტელმა დაუარათ.

— შეგეშინდა, ხომ? — ჰკითხა შაბრმა ესტელს, — მეც შეგატყე...

გართობას ზღვის ნაპირზეც ეძებდნენ ხოლმე. აქ მიდიოდნენ სხვა და სხვა დროს, რომ მეთევზეებისთვის ეყურებინათ. ესტელს უყვარდა აქ სირბილი. ქვიდან-ქვაზე ჩიტსავით დაფრინავდა. კორსეთი უშლიდა სირბილს, მაგრამ ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ჰექტორი კი მისი ყურებით გიჟდებოდა. საშინლად მოაწონდა, როცა ესტელი თავმოხდილი კულულებ ჩამოშლილი დაქრიალებდა. განგებ მეთევზეებთან მიიბრუნდნენ, მაგრამ ყიდვით არაფერს არ ყიდულობდნენ. ერთად მიბრუნდნენ, ერთადვე ბრუნდებოდნენ, თითქოს ზღვის ტალღებს აჯავრებენ მიმოქცევაშიო.

— რაო, მოგწონს, ჩემო კარგო აქ ყოფნა, არ დაიღალე?

— რა ბრძანებაა... საუცხოვო რამ არის, საუცხოვო...

ერთ კვირა საღამოს ბალი გამარ-

თეს ცის ქვეშ. მთელი იმ არე-მარის გოგო-ბიჭები შეიკრიბნენ. მთელი საათობით დატრიალებდნენ ასე, თითქოს ზღვის რითმიულ მუსიკას ფეხს აყოლებნო. ესტელი და ჰექტორი ზღვას გადაჰყურებდნენ. ყმაწვილი მის ფეხთან წამოწოლილიყო, თითქოს მის სადღაც შორს გადაკარგულ ოცნებას ოცნების თვალთვე მისჩერებიაო... ესტელს სწყუროდა ამ დროს სიყვარული, ოცნებობდა, რომ შეყვარებული ყოფილიყო. დაე, მის საყვარელი თუნდა ეს მდეც-კაცი ყმაწვილი ყოფილიყო, ოღონდ გავეოთ, ოღონდ სიყვარულის ჟინის ცეცხლი ჩაექროთ მისთვის.

— ვგონებ მოგეწყინა პირიაკი, ჩემო კარგო, — ეუბნებოდა შაბრი ესტელს, — ხომ არ გსურს, რომ...

მაგრამ ესტელი ჩქარა აჩერებდა.

— რა ბრძანებაა... გეფიცები, რომ უკეთეს ადგილს ვერსად ვნახე...

ესტელი შეეჩვია სოფელს. სეირნობდა, წუმბეში ბატებსა და გოჭების წყუმპალობას ადევნებდა თვალს, ზღვაც თავის მხრით ეპატიჟებოდა. ეს მიძინებული სოფელი, ეს მიტბორებული სიცოცხლე მალე მისთვის იმდენად წარმტაცი გახდა, რომ იგი უფრო დიდი და მოძრავი იყო, ვიდრე რომელიმე უდიდესი ქალაქი.

თხუთმეტი დღის შემდეგ შაბრმა იმდენად მოიწყინა, რომ პარიზში დაბრუნება მოინდომა.

— თუ ლოკოკინას რაიმე ძალა აქვს, კიდევ გასკრის, იმოდენა ვკამეთ ამ ორი კვირის განმავლობაში, — ეუბნებდა ესტელს. მაგრამ ესტელი უარობდა:

— რას მეუბნები, მეგობარო, ჯერ ხომ არა გიჟამია-რა... რაც შეეხება ჩემს თავს, უნდა გამოგიტყდე, რომ ლოკოკინა საკმაოდ არ მიმილია. კიდევ ბევრი მესაჭიროება...

IV

ერთ საღამოს ჰექტორი ჩვეულებრივ ეწვია შაბრის ოჯახობას.

— ხვალ დილით მთელი დღე ზღვა-სთან დაეყოთ და ვითევზაოთ.

ესტელს ძიელ მოეწონა ეს წინადადება. დიახ, დიახ, უნდა ლოკოკინების დასაჭერად წასულსიყვნენ! დიდი ხანია რაც თავის მხრით ამ წინადადებას აძლევდა შაბრს, მაგრამ ის არ თანხმდებოდა, რა საჭიროა, რალაცა გროშში შეგვიძლიან ვიყიდოთო. დასველება და ამოლუფვა კი ვერაფერი სსიამოვნო ამბავი იქნებაო. მაგრამ ესტელი ისე მხიარული იყო, ალტაცებული, რომ დიდი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია. ამისთვის დიდ მზადებასაც კი შეუდგნენ.

ჰექტორმა რამდენიმე ბადე მოამზადებინა. მართალია, შაბრს წყლის ეშინოდა, მაგრამ მაინც გადასწყვიტა, ამასაც გაენაწილებინა მათი შრომა. ახლა შაბრმა თავიც კი გამოიღო, სერიოზულად ფიქრობდა თევზაობას. დილა აღრიან ჩექმები გაიქონა. შემდეგ თავიდან ფეხამდე კრიალა შავი ტილოს ტანისამოსი ჩაიცვა. ესტელმა ერთი არ მოუწონა, სახელდობრ, ძვირფასი ყელსახვევი, თითქოს საქორწინოდ ემზადებო. თვით ესტელმა საბანაო კოსტიუმი ჩაიცვა. ზემოდან კოფთა მოიხვია. ჰექტორიც საბანაო კოსტიუმში გამოწყობილიყო.

ორ საათისთვის უკვე ზღვისკენ გასწიეს. ფრთიფულს მათგანს თავ-თავისი ბადე მხარზე გაედო. თითქმის ერთ

ვერსზე მეტი იარეს ქვიშაყვით და თების შუა, ვიდრე ჰექტორს მოეჩვენებოდა, ნაჩვენებ კლდესთან მივიდოდნენ, სადაც, მისი სიტყვით, აუარებელი ლოკოკინა უნდა ყოფილიყო. ჰექტორი წინ მიდიოდა, წყნარად თუმცა სულაც არ დავიდევდათ, მოჰყვებოდნენ კლდე ღრეში, თუ არა. საქმე ის იყო, რომ ესტელს ყველა ეს ესიამოვნებოდა, ერთგვარ ბედნიერებას განიცდიდა და ალტაცებით ასლიკინებდა ფეხს დასველებულ შანთებზე. ყველაზე უკან შაბრი მობრძანდებოდა. იგი მხოლოდ იმას სწუხდა, ჩექმები რად დაეჭონე, თუ კი გატაზვა არსად მოგვიხდებოდაო. მიუხედავად ამისა შაბრი სულ მალე დაიღალა და წამდაუწუმ ეკითხებოდა ჰექტორს:

— კიდევ შორს არის, ბატონო ჰექტორ? აჰა, ხომ მოველით... რატომ თევზაობას არ დავიწყებთ? ღმერთს გეფიცებით, ლოკოკინებს აქაც ბევრს ვხედავ. ესეც არ იყოს, განა ლოკოკინა ზღვის ყოველ კუთხეში არ არის? სანაძლეო რაც გინდათ, დავდოთ, თუ ბადის ერთ ჩადგმაზე აუარებელი ლოკოკინა არ ამოყვაროთ.

— ჩაუშვით, ჩაუშვით, ბ-ნო შაბრ, — უპასუხებდა ჰექტორი.

სულის ცოტაოდენ მოსათქმელად შაბრი ბადეს მართლაც ჩასდგავდა ხოლმე, მაგრამ ერთხელაც ვერაფერი დაუჭერია, თვით ბალახიც კი. ბადეში მხოლოდ წყალი მოწკურწკულვდა. შემდეგ ისევ გზას გაუდგებოდა. მხოლოდ ეხლა შეჰნიშნავდა ხოლმე, რომ მათ ძალიან ჩამოჰჩინია.

ზღვა ნაპირებს ეხეთქებოდა, მაგრამ ისევ უკან იხევდა მძიმე ქშენით. შორს, შორს, მეორე მხრით, ნაპირები ისე მოსჩანდა, თითქოს მას ზღვა ჰსვამს პირზე ქაფ-მორეულიო. ესტელი დიდახანს უმხერდა ამ შიშველ უფსკრულს.

— უჰ, რამოდენაა!.. ჩურჩულებდა იგი.

ჰექტორი ხან ერთ კონცხზე გაუთითებდა, ხან მეორეზე. აი, იმ კვარცხლებეზე შეიძლება ბევრი ლოკოკინების დაჭერაო.

— ეგ ადგილი, — ეუბნებდა ჰექტორი, თვეში მხოლოდ ორჯელ გამოჩნდება ხოლმე. ხომ ხედავთ იმ წერტილს? ის გახლავთ „ვაშ-რუსი“. ეგ საუკეთესო ადგილია კიბოების დასაჭერად. მაგრამ როგორ ნელა მივდივართ: აბა, დავჩქარდეთ. იქ სწორედ იმ დროს მივუსწრებთ, როდესაც ზღვა ლეკვას დაიწყებს და კლდე გამოჩნდება.

როცა ესტელმა ზღვაში ფეხი შესდგა, ბავშვსავით გაიხარა. ფეხი მალე აიღო და ზედი ზედი კი დაუშინა, რომ იქაურობა ააქაფა. შემდეგ, როცა მუხლამდე შესტოპა, ახლა ტალღებთან მოუხდა ბრძოლა. ეს ახარებდა მას, ფეხს უმატა, რომ უფრო მეტად ეგრძნო თუ როგორ ტყლამუნით არ უსვენებდნენ ტალღები მის ქორთა ფეხებს.

— არ შეგეშინდეთ, — უთხრა ჰექტორმა, — მალე წყალი წელამდე მოგწვდებათ, მაგრამ ისევ ამოხვალთ, სამშვიდობოს გახვალთ და ჩვენც დანიშნულს ადგილს მივალწვეთ.

მართლაც, ნელ-ნელ ამოვიდნენ სამშვიდობოზე. როდესაც ესტელმა უკან მოიხვინა, ცოტა არ იყოს, შეფრთხა, რომ ასე ძიელ დაჰმორებოდნენ პირიაკს.

აგერ კიდევ ავიდნენ დანიშნულ





ადგილს და ბანდებიც ჩაჰყარეს, რომ საცოდავი ხმა შეესმათ. ბატონი შაბრი შემოსულიყო წყალში, დაბნევილი ჰყვიროდა, გზა მაჩვენებთ, საით წამოვიდეთ.

— საით არის გზა? მარჯვნივ თუ მარცხნივ?

წყალი მალე წელამდე მოსწვდა. ახლა კი შიშის ხარი დაეცა და ფეხის გადადგმას ვერ ჰბედავდა. ასე ეგონა, ეს-ეს არის მორევში მოხვდი და სულლით ხორცამდე დავიღუბეთ.

— მარცხნივ წამოდი, მარცხნივ, — დაუყვირა ჰექტორმა. შაბრიც მარცხნივ წამოვიდა, მაგრამ მალე ისევ შეჩერდა და წინ წამოსვლას ვეღარ ჰბედავდა. ახლა კი საცოდავად აცრემლდა.

— მიშველეთ, ვიღუბები... მოდი, ხელი მომაწოდეთ... მორევში ჩავვარდი... ვგრძნობ, ვიღუბები...

— მარჯვნივ, მარჯვნივ, ბატონო შაბრი! — დაუყვირა ჰექტორმა.

საცოდავი შაბრი ისეთი სასაცილო სანახავი იყო ამ შუა წყალში, მხარზე გადახუტულ ბადეთი, რომ ესტელმა და ჰექტორმა თავი ვეღარ შეიკავეს და გულიანად გადინახარეს. რის ვაი-ვაგლახით დაიღწია თავი, როგორც იყო, ესეც მალე ამოვიდა და აღელვებული იძახოდა:

— მე ცურაობა არ ვიცი და არც მისწავლია...

ახლა დაბრუნება უხეტიაედა გულს, როდესაც ჰექტორმა აუხსნა, კლდეზე ნუ დარჩები, როცა ტალღა წამოვიდეს, თორემ დაბლა ჩავითრევსო, შაბრს გული გაუსქდა, ასე ეგონა, ტალღა უკვე მოცოცავსო, მაგრამ როდესაც ჰექტორმა დაამშვიდა, შესთხოვა, წინდაწინვე მაინც შემატყობინე, როდის უნდა გავფრთხილდეო.

— ნუ გეშინიანთ, წინდაწინვე გაგაფრთხილებთ, შემდეგ სამივემ დაიწყეს თევზაობა. ესტელმა ყველას დაასწრო. მან პირველმა სამი უშველელი ლოკოკინა ამოიტანა ერთად.

შეამჩნია თუ არა, სიხარულით ცას დაეწია და ჰექტორს შესძახა, მიშველეთ. მაგრამ როდესაც დაინახა, რომ ლოკოკინები არ ინძრეოდნენ, თვითონვე ხელი წაატანა, აუთრთოლებლივ აიღო და თავის კალთაში ჩაჰყარა. ხშირად მთელი ბლუჯა-ბლუჯა ბალახი ამოჰქონდა. ამ ბალახებს სახელდახელოდ გადასჩიჩქნიდა და მარჯვენ პოულობდა, თუ ქვეშ ლოკოკინა იმაღლე ბოდა. ამასთანავე, კალათს წმადღაუწუმ ჩაჰხედავდა ხოლმე და მოუთმენლად ელოდა მის გავესებას.

— საოკარია, რომ მე ვერას ვიპოვებ, — სთქვა წყენით შაბრმა.

რაკილა გამბედაობა არა ჰქონდა, ცოტა დაბლა ჩასულიყო კლდეზე, ჩექმებიც წყლით ეცხებოდა და ისედაც შიშიმე მუხლები ერთი ათად დამძიმებოდა, იგი სულ ზემოდ ატივტივებდა ბადეს. სულ უმნიშვნელო რაღაც ლოკოკინები დაიჭირა და იმათიც ისე შეეშინდა, რომ თვითონვე გადაჰყარა ბადიდან, ემანდ არ მიკბინონო. მაგრამ მისი თვალის სულ ზღვისკენ იყო მიმართული, მართლა ტალღა არ წამოშობაროს და არ ჩამითრიოს შიგნითაო.

— დარწმუნებული კი ხართ, რომ ზღვა ეხლა ილეკავს? — ჰკითხა ჰექტორს. ესეც თავის კანჭურით არწმუნებდა, საშიში არა არის რაო.

რაც რომ დაიჭირა შაბრმა ესტელის კალთაში ჩაჰყარა. იგი ძვირფას სანა-

ხაობას წარმოადგენდა ზღვის პირას, გაწეწილ ლამაზი წაბლის ფერი თმით, როდესაც ასე დოინჯ შემოყრილი, ბადის ტარზე ცალხელ დაყრდნობილი გადაჰყურებდა ზღვის მოთამაშე ზვირთებს. ოდნავი ნიავი იძვროდა. ზვირთებს წინწკლებს სტაცებდა და ესტელს წვიმის ნამსავით ასხურებდა. აფრიალებ-ლი შარფი მის პროფილს აქანდაკებდა და ერთი ასად მიმზიდველ სანახაობად ჰხატავდა მას.

თითქმის ორ საათზე მეტს ხანს ითევზავს. ესტელმა ცოტა არ იყო დალაღვა იგრძნო, პატარა ხანს შესდგა, ოფლით შემურული შუბლი მოიწმინდა და სულის მოთქმას მიიკცა. მის გარშემო თვალუწვდენელი სივრცე მეფურსილიანით ფშვინავდა. ცას ოდნავად შეკრთომოდა ფერი. ოთხმა საათმა გადაჰხარა სიცხის აღმური და საამურმა ნიავმა დაუბერა. ესტელი გაეტაცნა მრავალფეროვან სურათოვნებას. განსაკუთრებით თვალს სტაცებდა ტალღების შუა ამოწვდილ კლდის შანთები, სადაც მეთევზენი შავს წერტილებად მიჰკვროდნენ, მაგრამ მაინც აშკარად სჩანდა მათი მოძრაობა, თუ როგორ ისვროდნენ ბადეს, ან როგორ გამოჰქონდათ და ბალახ-ბულახიდან ანთავისუფლებდნენ მას.

— შენეთ, შენეთ, ზღვა იწვევს, ტალღა მოკოკავს, მოცოცავს... საცა ამ კლდეს მთლად დაჰფარავს...

შეჰყვირა შაბრმა დაფეთებით.

— რა თქმა უნდა, რომ მოსცოცავს... შეუძახა მოთმინებიდან გამოსულმა ჰექტორმა, — მით უკეთესი: ეხლა უფრო მეტს ლოკოკინებს ამოჰყრის ტალღა.

მაგრამ შაბრმა სულ ერთიანად დაჰკარგა თავი. მისდა საუბედუროდ სწორედ ამ დროს მის ბადეს უცნაური თევზი მოჰხვდა, თავიდა, რაღაც ეშმაკი ცხოველი.

— ეს რაღა არის, — გულგახეთქით დააჰყიტა თვალები შაბრმა, — წავიდეთ, წავიდეთ... ამანდ ყველანი არ დაგეკბინოს ამ ცხოველმა.

— რა დროს წასვლაა, ხომ გითხრეს, რომ ეხლა უფრო მეტს ლოკოკინებს გამოჰყრის ტალღაო.

— დიახ, დიახ, მოსცოცავს... პირველს თქვენ ჩავითრევთ, — გაბრაზებით შესძახა ჰექტორმა და ნაპერწკლები წამოჰქვესა.

მართლაც, ტალღამ გორვა დაიწყო და გმინვით მოჰყვა კლდის კალთების ჩანთქმას. ესტელმა ამ დროს საუცხოვო ლოკოკინები დაიჭირა და დიდად გაიხარა კიდევ. როგორც პატარამ ბრჭყვიალა საჩუქარი, ისე ესტელმა

გულში ჩაიკრა ლოკოკინა და ალაბარის ანიბებდა და არც თუ წასვლაზე უფიქრინა.

— არ წამოხვალთ და ნუ წამოხვალთ, მით უარესი თქვენთვის! — შესძახა შაბრმა. ხმაში ეტყობოდა, თუ კრძალვები როგორ აღრჩობდა, — გული მიგრძნობს, რომ რაღაც ცუდი უნდა მოხდეს...

ალარ დაუყოვნებია. იმედ გადაწყვიტომა ბაიის ტარი მოიბრუნა და სიორმის შინჯვა დაუწყო. როდესაც სამასიოდ ნაბიჯი გადასდგა, ჰექტორმა მიმართა ესტელს:

— ნახეთ, ნახეთ, მალე ტალღები ზიდ მხრებზე გადაეგლებოდა. მართლაც, საოკითესოდ კი იბანავებს ბატონი შაბრი... აგერ, ლამის არის კიდევ ჩაყურყურმელოაო.

დილიდანვე მოყოლებული ჰექტორს სიყარულით აჰფიქტოდა გული, მოჰარბიული სისხლით ჰბორგადა მაგრამ იმდენი სითამამე ვერ გამოეჩინა, რომ ესტელისთვის გულის ნადები გაემქლავებინა. როდესაც ლოკოკინებს ესტელის კალთაში ჰყრიდა, ყოველთვის სცილობდა, რომ თითები მის თითებისთვის მოეხივებინა. ყოველ მის მიკარებაზე ტანში ქრუანტილი უგლიდა. და აი შაბრის დანახვაზე პირველად აღეძრა სურვილი, რომ ტალღებს ჩანთქმით და თავიდან მოეშორებინათ იგი, როგორც მის წინ გადამლობავე დაბრკოლება.

— იცით რა, თქვენ ეხლა იღორ გახვალთ თავისუფლად, უნდა ზურგზედ შემიჯდით, თორემ... წყალი წაგაქციეთ... ჰა? რას იტყვით, შემაჯექით ზურგზე...

ჰექტორმა ზურგი მიუშვირა. ესტელმა ჯერ უარი უთხრა. ერცხვინებოდა. მაგრამ ჰექტორმა დაიყინა, აქ პასუხისმგებელი ეხლა მე ვარ და ისე ალარ შემიძლიან გაგიშვაო. და ესტელიც შეაჯდა ზურგზე. ხილვები მხარზე დააწყო. ჰექტორი ზურგ-მაგარი ბიჭი იყო და მღვესაგით წამოიწია. აბა მარჯვენ იყავი, არ გადმოვარდეთ, ეს კი უთხრა და შესტოპა კიდევ.

— მარჯვნივ უნდა გავუხვიო, არა ბატონო ჰექტორ? — შეესმა ცრემლმორეული კივილი საცოდავი შაბრისა, რომელსაც ტალღამ მხრებზე გადაურბინა.

— ჰო, მარჯვნივ... სულ მარჯვნივ გეჭიროთ გეზი...

როდესაც შაბრი კანკალით სიღრმეს შეუტყურდა და ზურგი შეეჭტა ჰექტორს, ამან ვეღარ მოითმინა და მხარზე დადებულს ესტელის ხელს სწრაფად აკოცა. ესტელს უნდოდა

უკან წავლო, მაგრამ... შეშინდა. ჰექტორმა კოცნას მოუხშირა. ესტელის პაწია ფუნთუშა ხელები სურნელოვნებასავით ეჩვენებოდა.

— გთხოვთ, თავი დამანებოთ, — ეუბნებოდა ესტელი, — თქვენ მეტისმეტად ცველქობთ... ეს არ შეიძლება... ახლავე წყალში გადავხტები თუ არ მოიშლით...

ჰექტორი კოცნას განაგრძობდა და ესტელიც არ გადახტარა. იგი ხელს ალარ უშვებდა, კისერზე იჭერდა და ასე უსიტყვიოდ ჰსვამდა ბედნიერების ნეტარს იმ დროს, როდესაც შაბრი განსაცდელს ებრძვოდა და ზურგი მათკენ შემოეჭტაო.

— კიდევ მარჯვნივ წავიდეთ, ბატონო ჰექტორ? — იკითხა ხელ-ახლად შაბრმა. ეტყობოდა, სასოწარკვეთილებას დაეზინდა.

— თუ გნებავთ, მარცხნივაც შეგიძლიათ.

შაბრმა მარცხნივ გადასდგა ფეხი და შეჰკვივლა უმწეოდ. ტალღამ უძირო მორევში გადააგდო. ჰექტორმა ამით ისარგებლა და მოჰყვა გულახდილარ თავის აღსარებას:

— ხომ თქვენცა ჰხედავთ, რომ მიყვარხართ...

— ღვთის გულისათვის გაჩუმიდით... ბ-ნო ჰექტორ, გაჩუმიდით...

— მიყვარხართ... გაღმერთებთ... აქნობამდინ თქვენი ოჯახის პატივისცემა პირს მაკუთმინებდა, ეხლა კი...

თანაც განაგრძობდა ტოპვას. როდესაც მორევში შევიდა, ესტელს სანახაობა იმდენადსასაცილო ეჩვენა, რომ თვითვე მოჰყვა კისკისს.

— კარგია, კარგი, გეყოფა... იყავე ჰქვიანად...

მხარზე ხელის ცაცუნს მოჰყვა. ამ ცაცუნმა სულ ააძგერა ჰექტორი. მაგრამ ამავე დროზე შაბრმა. სამშვიდობოს გააღწია და ასე გავრძელებაც ალარ შეიძლებოდა.

— ახლა პირდაპირ გასწიეთ, ბ-ნო შაბრი, — დაუყვირა ჰექტორმა. როდესაც ნაპარას გავიდნენ, შაბრი თავის მართლებას მოჰყვა.

— მეც უნდა დავრჩინილიყავ... ლულულელებდა, — ღმერთმანი, დავრჩებოდი, მაგრამ წალებმა შემაწუხეს. ამა-სობაში ესტელმა კალთა გახსნა და სიხარულით ეუბნებდა:

— შენეთ, რამდენი ლოკოკინაა.

— ბიჭოს! ეს სულ შენ დაიჭირე? შეჰყვირა შაბრმა, — ნახე, რა ყოჩალი მებადური ყოფილხარ.

— ოჰ, მარტო მე რას გავხდებოდი, — ეუბნებდა ესტელი, — ბ-ნი ჰექტორიც მეშველებოდა.

(დასასრული იქნება)

დ. კ — ძე.

ზ ი მ ზ ი ლ ო გ ა თ ბ ი ლ ი ს ზ ი



— ერიპაა!

— მე განა მომშივა?